



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 696
05/04/2018

ქალაქი ბათუმი

696-05-4-201804051607



„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 01 მარტს გაფორმებული №31 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე (მზა სასაქონლო ბეტონის მოწოდება) კონტროლის განხორციელებისათვის ინსპექტირების და ჩასატარებელი სამუშაოების მიღება-ჩაბარების უზრუნველსაყოფად კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 06 მარტის №506 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად **ვბრძანებ:**

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 01 მარტს გაფორმებული №31 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე (მზა სასაქონლო ბეტონის მოწოდება) კონტროლის განხორციელებისათვის ინსპექტირების და ჩასატარებელი სამუშაოების მიღება-ჩაბარების უზრუნველსაყოფად კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 06 მარტის №506 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით მზა სასაქონლო ბეტონის მოწოდებაზე ინსპექტირებისა და ჩასატარებელი სამუშაოების მიღება-ჩაბარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) გიორგი ქურიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) თამაზ მურადიშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საპროექტო განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) თამაზ ბერიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მშენებლობის ინსპექტირებისა და ზედამხედველობის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

დ) დავით ვარშანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული

ერთეულის მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის წევრი;

ე) ავთანდილ ზოიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მასმედიასა და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ვ) გიორგი მახაჭაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი“.

ბ) ბრძანების 2¹ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2¹. კომისიის წევრებს გიორგი ქურიძეს და თამაზ მურადიშვილს კომისიაზე დაკისრებული სამუშაოების შესრულების მიზნით პროგრამის მოქმედების პერიოდში გამოეყოს საწვავი თითოეულს თვეში 100 ლიტრის ოდენობით.“.

2. ბრძანების გაცნობა (მიწოდება) კომისიის წევრებზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა